პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 110 (18652) ხუთშაბათი, 12 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ი. ვ. ანდროპოვის პასუხი

ფინეთის რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კითხვებზე

კითხვა. როგორია თქვენი წინადადებანი ბირთვული განიარაღებისა და ევროპაში საშიშროების მდგომარეობის აღკვეთის, აგრეთვე უბირთვო ევროპის შექმნის თაობაზე?

პასუხი. ბირთვული საფრთხის აღკვეთა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მას შემდეგ, რაც პირველი ატომური ბომბები გაჩნდა, ჩვენ დაბეჯითებით ვიღვწოთ იმისათვის, რომ აიკრძალოს და მოისპოს ბირთვული იარაღი. ჩვენ ჯერ კიდევ 1946 წელს წამოვაყენეთ წინადადება დაგვედო საერთაშორისო კონვენცია, რომლითაც ბირთვული იარაღი აიკრძალებოდა, ხოლო ბირთვული ენერგია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს მოხმარდებოდა. მაშინ ამას ვერ მივაღწიეთ იმათი მიზეზით, ვისაც სურდა ატომური მონოპოლია შეენარჩუნებინა.

მომდევნო წლებშიც საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით იძლეოდა და კვლავაც იძლევა წინადადებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ შევაჩეროთ ბირთვული არსენალების ზრდა, შევამციროთ ბირთვული კონფლიქტის რისკი და საბოლოო ანგარიშით საერთოდ შეუძლებელი გავხადოთ იგი.

შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით შევწყვიტოთ ბირთვული იარაღის წარმოება, შემდეგ კი თანდათანობით მოვსპოთ მისი მარაგი. იმ მიზნით, რომ საქმე პრაქტიკულ რელსებზე დაგვეყენებინა, ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ შეგვეშუშავებინა ეტაპობრივი ბირთვული განიარაღების პროგრამა, და ძენევის განიარაღების კომიტეტში ამის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტიც შევიტანეთ.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ცდილობს გააადვილოს ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მორიგებათა მიღწევა, პირველი ნაბიჯი გადაიდგა მისი შემცირების გზაზე, განაცხადა, რომ მზად არის შეთანხმდეს ყველა იმ სახელმწიფოს ბირთვული არსენალების ურთიერთგაყინვის თაობაზე, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ, ან თავდაპირველად მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ბირთვული არსენალების გაყინვის თაობაზე. ჩვენ წინადადებას ვიძლევით აგრეთვე, სანამ საბჭოთა კავშირ-ამერიკა მოლაპარაკებას აწარმოებენ, გავყინოთ საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებანი და მხარეთა სტრატეგიული შეიარაღება.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე მოლაპარაკების პროცესში ჩვენ წინადადება შევიტანეთ არსებითად, მეოთხედზე შეგამციროთ სტრატეგიული მატარებლების საერთო რიცხვი, რაც იმას გამოიწვევდა, რომ ორივე მხარის არსენალებს ათასზე მეტი ერთეული ასეთი საშუალებანი მოაკლდებოდა. თანაბრად, თანაც ახლანდელზე უფრო დაბალ დონეზე შემცირდებოდა ბირთვული იუტების რიცხვიც.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით დაუყოვნებლივ აიკრძალოს ყველგან ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოსაცდელი აფეთქებანი, რაც დააბრკოლებდა ახალი სახეობებისა და ტიპების ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობას. ამის თაობაზე შეთანხმების დადებამდე ჩვენ მზად ვართ ბირთვული იარაღის მქონე ყველა სახელმწიფოსთან ერთად მორატორიუმი გამოვაცხადოთ ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე, მათ შორის მშვიდობიანზეც.

და ბოლოს, საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებსაც მოუწოდა მიებაძათ ამ მაგალითისათვის.

ახლა ევროპის შესახებ. აქ ბირთვული შეიარაღების პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა მოლაპარაკებად განგვეთავისუფლებინა ევროპის კონტინენტი როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ეს რეალური გზაა იმისათვის, რომ უბირთვო ევროპა შეიქმნას. ეს გზა, ცხადია, უნდა გაიაროს ყველა სახელმწიფომ, რომლებსაც ამ რაიონში ბირთვული იარაღი აქვთ. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, იმათ, ვისადმიც მიმართულია ჩვენი წინადადება, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ეს წინადადება საერთოდ არ არსებულიყოს.

ყენევაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებაზე ჩვენ ასეთი ვარიანტიც შევთავაზეთ: შევთანხმდეთ იმის თაობაზე, რომ თითოეულმა მხარემ რადიკალურად — დაახლოებით 1000 ერთეულიდან 300 ერთეულამდე შეამციროს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებანი. თანაც საბჭოთა კავშირი მზად არის იმისათვის, რომ შემცირების შემდეგ მას დარჩეს მხოლოდ 162 რაკეტა, ესე იგი ზუსტად იმდენი, რამდენიც ამჟამად ნატოს მხარეს — ინგლისსა და საფრანგეთს აქვთ. თანაბრად დაბალი დონე — 138-138 ერთეული ექნებოდათ მატარებელი თვითმფრინავებიც.

ჩვენ გვეუბნებიან, მაშინ საბჭოთა კავშირს რაკეტებზე დაყენებული მეტი ბირთვული მუხტი ექნებაო. რას იზამ, ჩვენ მზად ვართ შევთანხმდეთ ევროპაში თანაბარი ბირთვული პოტენციალების თაობაზე როგორც მატარებლების, ისე ქობინების მხრივ, თუ რა თქმა უნდა, ინგლისისა და საფრანგეთის შესაბამის იარაღს გავითვალისწინებთ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ საბჭოთა კავშირს რაკეტებიც და მათზე დაყენებული ქობინებიც უფრო მეტი არ ჰქონდეს, ვიდრე ნატოს მხარეზე იქნება ყოველ ერთიერთშეთანხმებულ პერიოდში. თუ ინგლისისა და საფრანგეთის რაკეტებზე ქობინების რიცხვი შემცირდა, ამდენადვე შემცირდება ჩვენი საშუალო სიშორის რაკეტების ქობინების რიცხვიც. ასეთივე მიდგომა გავრცელდებოდა ამ კლასის საავიაციო საშუალებებზეც, რომლებიც განლაგებულია ევროპაში. მაშინ საბჭოთა კავშირსა და ნატოს შორის დაახლოებით თანასწორობა დამყარდებოდა როგორც საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებლების, ესე იგი რაკეტებისა და თვითმფრინავების მხრივ, ისე მათზე დაყენებული ქობინების რიცხვის მიხედვითაც, თანაც, ეს თანასწორობა მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონეზე იქნებოდა, ვიდრე ახლაა.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ახალი წინადადების რეალიზაციის შედეგად საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის რაკეტებიც და მათზე დაყენებული ქობინებიც მნიშვნელოვნად ნაკლები იქნებოდა, ვიდრე 1976 წლამდე იყო, როცა სს-20 რაკეტები არ გვქონდა.

ჩვენი ამ წინადადების განხილვიელება არსებითად მოაახლოებდა ევროპის სრულ განთავისუფლებას როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ასეთ წინადადებაზე მხოლოდ ის იტყვის უარს, ვისაც სურს რადაც უნდა დაუჯდეს განალაგოს ახალი ამერიკული რაკეტები დასავლეთ ევროპაში და ამით დაარღვიოს შექმნილი ძალთა წონასწორობა ევროპაშიც და გლობალური მასშტაბითაც. ეს რომ მოხდეს, ომის საფრთხე კიდევ უფრო მიუახლოვდებოდა ევროპის ზღურბლს. ამას ჩვენ ვერ შევურიგდებით და ყველაფერს ვიღონებთ, რომ პარიტეტი შევინარჩუნოთ.

კითხვა. მხარს უჭერთ თუ არა თქვენ უბირთვო ზონის შექმნას, მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპაში, და მზად ხართ თუ არა მოგვცეთ ასეთი ზონების უშიშროების გარანტია?

პასუხი. დიახ, ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ შეიქმნას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები ჩრდილოეთ ევროპაში და ევროპის კონტინენტის სხვა ნაწილებშიც, რადგან ისინი ევროპელ ხალხთა უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია.

ჩვენ უყოყმანოდ დავუჭირეთ მხარი ფინეთის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ ევროპა უბირთვო ზონად გადაიქცეს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ზონა მართლაც თავისუფალი იყოს ბირთვული იარაღისაგან, რომ ამოქოლოს იქ ამ იარაღის გაჩენის ყოველგვარი ხვრელი.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი მზად არის იკისროს ვალდებულება, რომ ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს ჩრდილოეთ ევროპის იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ზონის მონაწილენი გახდებიან. ეს შეიძლება გაფორმდეს ან მრავალმხრივი შეთანხმების, ან ზონაში შემავალ თითოეულ სახელმწიფოსთან ორმხრივი შეთანხმების დადების გზით. სრულიად გასაგებია, რომ ამ ქვეყნების უშიშროება უფრო საიმედოდ იქნება უზრუნველყოფილი, თუ შესაბამის გარანტიას მოგვცემენ ნატოს ბირთვული სახელმწიფოებიც. მაგრამ ეს ჩვენი ვალდებულების პირობად არ მიგვაჩნია.

სკანდინავიის ზოგიერთ ქვეყანაში გამოთქმული სურვილის შესაბამისად, საბჭოთა კავშირი მზად არის აგრეთვე განიხილოს ასეთი ზონის მოსაზღვრე თავისი საკუთარი ტერიტორიის მიმართ ზოგიერთ, თანაც არსებითს, ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც ხელს შეუწყობდა ჩრდილოეთ ევროპის უბირთვო სტატუსის განმტკიცებას.

როცა მხარი დაუჭირა წინადადებას ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნის შესახებ, საბჭოთა კავშირმა ამასთანავე განაცხადა, რომ პრინციპული თვალსაზრისით დადებითად ეკიდება შვეიცის მთავრობის იდეას — შეიქმნას ცენტრალურ ევროპაში ზონა, რომელიც თავისუფალი იქნება საბრძოლისველო ბირთვული იარაღისაგან.

დარწმუნებული ვარ, რომ უბირთვო ზონების შესახებ აღნიშნულ წინადადებათა განხილვიელება მომავალში ხელს შეუწყობდა ბირთვული იარაღისაგან მთელი ევროპის განთავისუფლებას.

კითხვა. როგორი მნიშვნელობა ექნებოდა ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისათვის ბირთვულ სახელმწიფოთა განცხადებებს, რომ პირველნი არ იხმარენ ბირთვულ იარაღს?

პასუხი. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი განცხადებანი ხელს შეუწყობდა ბირთვული ომის თავიდან აცილებას, რადგან სახელმწიფოთა ურთიერთობაში მეტი ნდობის ატმოსფერო შეიქმნებოდა. ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში კი ეს განსაკუთრებით საჭიროა.

საბჭოთა კავშირმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვალდებულება იკისრა, რომ პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს. საბჭოთა კავშირის მაგალითისათვის სხვა ბირთვულ სახელმწიფოებსაც რომ მიებაძათ, პრაქტიკულად ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ საერთოდ უარი გვეთქვა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. განა ცხადი არ არის, რომ თუ არავინ არ გამოიყენებს მას პირველად, აღარც მეორე ბირთვული დარტყმა იქნება და აღარც მესამე. ასეთი ვალდებულების მიღებას ხანგრძლივი მოლაპარაკებანი და შეთანხმებანი არ დასჭირდებოდა. ერთადერთი, რაც საჭიროა — ეს არის კეთილი ნება და მშვიდობისადმი გულწრფელი მისწრაფება. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირენი, რომლებიც კვლავინდებურად ბირთვული იარაღის გამოყენებაში პირველობის იმედით არიან, თავს არიდებენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მაგალითს მიბაძონ.

კითხვა. განამტკიცებს თუ არა ხალხთა უშიშროებას ფართო და ქმედითი სამშვიდობო მოძრაობა და ხელს უწყობს თუ არა იგი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ეწევიან?

პასუხი. დიახ, ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ შეიქმნას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები ჩრდილოეთ ევროპაში და ევროპის კონტინენტის სხვა ნაწილებშიც, რადგან ისინი ევროპელ ხალხთა უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია.

ჩვენ უყოყმანოდ დავუჭირეთ მხარი ფინეთის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ ევროპა უბირთვო ზონად გადაიქცეს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ზონა მართლაც თავისუფალი იყოს ბირთვული იარაღისაგან, რომ ამოქოლოს იქ ამ იარაღის გაჩენის ყოველგვარი ხვრელი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აჭარაში ჩაის ფოთლის კრეფას ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კოლეგიის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. სურათზე: სოფელ ურეხის კოლეგიის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე აიშე ლორთქიფანიძე, რომელიც ალოობის პირველი დღეებიდანვე გრაფიკის გასწრებით შრომობს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

მევენახეთა საყურადღებოდ: ვაზს უჭირს!

მეცნიერები გვირჩევენ

რესპუბლიკის ვენახების დათვალიერებისას გამოირკვა, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის ბოგ რაიონში ვაზის კვირტები უთანაბროდ ვითარდება, ჩამორჩება მათი განვითარებისა და ზრდის ტემპი. ამ მხრივ არათანაბარი მდგომარეობაა ცალკეული ნაკვეთებისა და ჯიშების მიხედვით. განსაკუთრებით ზიანდება რქანითელი. ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში ამ ჯიშის განუვითარებელი კვირტების რაოდენობა 40 პროცენტს აღემატება, თუმცა კვირტები ჯანსაღია და შესაძლოა მოგვიანებით განვითარდეს.

რქაწითელის კვირტების განვითარება ფერხდება კახეთში, მეტ-ნაკლებად — ქართლსა და იმერეთში. გარდა ამისა კვირტების განუვითარებლობა აღინიშნება პინოს, გორული მწვანის, ნაწილობრივ ჩინურის და ციცქას ვაზის ჯიშებზეც. კვირტების განუვითარებლობას ბევრი მიზეზი აქვს. მაგალითად, ტკიპამ ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში ციცქას კვირტების ნაწილობრივი გაცდენა გამოიწვია. ამ მავნებლის გააქტიურებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ აპრილში ჰაერის ტემპერატურამ 7 გრადუსამდე დაიკლო, რამაც უარყოფითად იმოქმედა ვაზის კვირტების განვითარებაზე; კვირტების ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზია შემოდგომა-ზამთრის და ნაწილობრივ გაზაფხულის გვალვა. ამიტომ იქ, სადაც შემოდგომა-ზამთარში ვენახს წყალი არ მოაკლეს, მდგომარეობა უკეთესია.

შემოწმებით დადგინდა აგრეთვე, რომ შუა ქართლის (მცხეთა, დუშეთი, კასპი, გორი, ხაშური), აგრეთვე ამბროლაურის რაიონში, ალაზნისა და ივრის ხეობებში ვენახების გარკვეული ფართობი ნაწილობრივ დაზიანდა ზამთრის ყინვებისაგან.

ტკიპები ვაზზე ვემჩნევა ორი ჯგუფის სახით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დაზიანების სიმპტომებით და ბიოლოგიური თავისებურებებით. პირველი ჯგუფისანი არიან ტეტრანიქისებრი ტკიპები, რომელთა წარმომადგენელია კარგად ცნობილი ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა, ხოლო მეორე ჯგუფის ნარმომადგენელია ერიოფიდეს გვარის კვირტის ოთხფეხა ტკიპა.

ორგანული ფუნგიციდების მასობრივად გამოყენებამ ხელი შეუწყო ახალი მავნე რასების წარმოშობას. გარდა ამისა, ანგარიშგასაწევია ამა თუ იმ პრეპარატებისადმი ტკიპების იმუნიტეტის გამომუშავება. შხამქიმიკატების ჭარბი გამოყენება კი სასარგებლო ენტომოფაგებს ანადგურებს. კვირტის ტკიპით გამონვეული დაზიანება სხვადასხვაა: ვაზს მუხლთშორისები უმოკლდება, კვირტები ხშირად არ ვითარდება, ფოთლები ნვრილდება და ყლორტები ბრტყელდება.

თუ მთავარ კვირტში ბევრი ტკიპაა, ხოლო შემცველში ნაკლები, შემცველი კვირტები და ნამხრევები ინტენსიურად ვითარდება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კვირტში ერთეული ტკიპებია, იგი შეიძლება მოგვიანებით გაიშალოს. ამ პირობებში ყლორტები სუსტად იზრდებიან, რაც მოუმზიფებელი რჩება.

ყინვით და კვირტის ტკიპით ნაწილობრივ დაზიანებული კვირტები ერთიმეორეს წაჰგავს. ორივე შემთხვევაში ზოგი კვირტი განუვითარებელი რჩება, მაგრამ კვირტის სიგრძეზე გაჭრისას ჩანს, რომ მოყინული კვირტი მკვრივი, ფერშეცვლილი და ჩაშავებულია, ხოლო ტკიპით დაზიანებულში სიმწვანე შენარჩუნებულია, მაგრამ კვირტის მფარავი ქერცლები ფხვიერია და გაკვეთისას იგი ადვილად იშლება. ლაბორატორიულ პირობებში კვირტების ანატომიური შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ტკიპით დაზიანებულ კვირტებში შეინიშნება ზრდის კონუსის ორად გაყოფა, მუხლთშორისები დაგრეხილია.

კვირტის ტკიპა მეტად პატარა ზომისაა და მთელ თავის სასიცოცხლო ციკლს კვირტებში ატარებს.

კვირტის ტკიპას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების საუკეთესო ვადაა ყვავილობის დამთავრების შემდგომი პერიოდი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს მევენახეები მთელ ყურადღებას ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ბრძოლას უთმობენ და კვირტის ტკიპის მოსახპობად აჭაროიდებს ყოველთვის ხათანადად ვერ იყენებენ.

ტკიპით დაზიანებულ ვენახებში კარგ შედეგს იძლევა შედარებით გრძელი სხვლა, რადგან რქის ქვედა მუხლები ყოველთვის მეტად არის დაზიანებული, ვიდრე ზედა.

ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განხორციელდეს რეკომენდებულ ვადებში, კერძოდ, პირველი წამლობა — კვირტების დაბერვისა და ყლორტების ზრდის პერიოდში, მეორე — ყვავილობის წინ, ხოლო მესამე — დაყვავილებისთანავე.

შესაწამლად უნდა გამოვიყენოთ ისეთი ინსეკტორ-აკარიციდები, როგორიცაა „კელტანი", „ბი-58", „ფოზალონი", „ომაიტი" და „დიკაფოლი" 0,2 პროცენტიანი კონცენტრაციით. კვირტის ტკიპას გავრცელების კერებში უმჯობესია, ცინებთან შეურევლად, ხუფთა აკარიციდი გამოვიყენოთ. ტკიპების რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პრეპარატების მონაცვლეობა ქიმიური შედგენილობის გათვალისწინებით.

ჩვენი რჩევაა — უპირველესად უმოკლეს დროში მოირწყას ის ვენახები, სადაც შეინიშნება კვირტების გაცდენა და არათანაბარი განვითარება. ასეთ ვენახებში ყვავილობის დამთავრებისთანავე მცენარის კვების გასაუმჯობესებლად ნიადაგში აუცილებლად უნდა შევიტანოთ მინერალური სასუქები.

საჭიროა განსაკუთრებული უურადღება მიექცეს დაზიანებულ ვენახებში ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად განხორციელებას. ნიადაგის გაფოყიერებასთან და სხვა სამუშაოებთან ერთად აუცილებელია ვაზს შევაცალოთ ფილოქსერაგამძლე ხაძირზე ამონაყარი ყლორტები, რომლებიც ისედაც დაკნინებულ ვაზს ბევრ საკვებს ართმევენ. ამასთან ერთად მომავლისათვის საჭიროა შტამბზე განვითარებული ყლორტები გამოვიყენოთ ვაზის აღსადგენად და ფორმირების დასაჩქარებლად.

ამონაყარი ყლორტების მიზნობრივი აღზრდა საშუალებას მოგვცემს ვაზს გავუდიდოთ საასიმილაციო ამარატი. ამასთან დაუყოვნებლივ უნდა შევიხწავლოთ ვენახში კვირტების დიდი რაოდენობით განუვითარებლობის ყველა მიზეზი და განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიებები მოსავლისა და ვაზის გადასარჩენად.

ა. მათიაშვილი,
ც. ჩუბინიშვილი,
საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მშენებლობა დამკვრელური ფრონტია

ახალი ხუთწლედი, აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, სერიოზული გამოცდა იქნება მშენებლებისათვის. მისი დამახასიათებელი ნიშანია მთელი ძალების კონცენტრაცია იმ საწარმოთა უსწრაფესი დამთავრებისა და ამოქმედებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქციის უმეტესი მატება.

ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ მშენებლობათა შორისაა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის, კინდღის - სასათბურე კომბინატის, აბაშის კომბინირებული საკვების ქარხნის ახალი სიმძლავრეებმ, ენერგეტიკის, სამთო მომპოვებელი, მსუბუქი, კვების და მრეწველობის სხვა დარგების ახალი ობიექტები.

როგორ წყდება ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ უთუოდ გადაცემის ამოცანები, როგორია მიიმდინარე წლის პირველი ოთხ თვეში რესპუბლიკის მშენებელთა მუშაობის შედეგები, რა ღონისძიებანი ხორციელდება მშენებლობის ხარისხის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, დაფინანსების გაუმჯობესებისათვის? ეს და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

აღინიშნა, რომ სამინისტროები და შემკვეთი საწარმოები, სამშენებლო ტრესტები, საიჯარო ორგანიზაციები გარკვეულ მეცადინეობას ეწევიან მუშაობის გაუმჯობესებისათვის. იანვარ-აპრილში ამოქმედდა 130,2 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 25,2 მილიონი მანეთით ანუ 24 პროცენტით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. წარმატებით სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმა თბილისსა და რუსთავში.

ამავე დროს, როგორც გასული თვეების შედეგები მოწმობს, დადებითი ძვრები აშკარად არ არის საკმარისი. მაგალითად, 71 განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ობიექტიდან, რომელთა მშენებლობის მიმდინარეობასაც აკონტროლებენ ხელმძღვანელი ორგანოები. კაპიტალდაბანდებათა ოთხი თვის პროგრამა არ შესრულებულა 37 ობიექტზე, რომელთაგან 23 ასამოქმედებელია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მინერალური სასუქების წარმოების, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების ობიექტებზე.

თუ წინათ მშენებლობათა უველაზე სუსტი რგოლი იყო მათი ცუდად მომარაგება ტექნოლოგიური მოწყობილობით, ახლა ასე აღარ არის. მეტწილ შემთხვევებში შემკვეთები დროულად ხსნიან სამუშაოთა ფრონტს, იგზავნება მოწყობილობა, მაგრამ იგი აწყვია საწყობებში, ნელა ხდება მისი დამონტაჟება.

უარესად არის მშენებარე ობიექტების დაფინანსების, საშენი მასალებით მომარაგების საქმე. მშენებლობებზე აკლიათ ცემენტი, აგური, შავი ლითონების ნაგლინი, ინერტული მასალები, ხე-ტყე, პარკეტი. ეს მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს მუშაობის რიტმზე.

თათბირის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ბინების, სკოლების, სკოლამდელთა დაწესებულებების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის საკითხებს. გათვალისწინებულია წლის პირველ ნახევარში სახელმწიფოს, საბინაო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით ამოქმედდეს 376,7 ათასი კვადრატული მეტრი საერთო (სასარგებლო) საცხოვრებელი ფართობი. ფაქტობრივად კი ოთხ თვეში ჩაბარებულია 81,9 ათასი კვადრატული მეტრი ანუ ნახევარი წლის გეგმის 22 პროცენტი და წლიური გეგმის 7 პროცენტი. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ჩამორჩენა სკოლების მშენებლობაში, განსაკუთრებით სოფლად. ჩაფუშულია აზმეტის, ხაშურის, ონჩაჩიერის, ზესტაფონის, მესტიის, სხვა რაიონების სოფლებში სკოლების აგების დავალებანი. მიუზეადავად არაერთგზის გაფრთხილებისა, მშენებლები ძალზე ნელა აღმოფხვრიან ხარვეზებს. მაგალითად, დღემდე არ აღმოფხვრილა ხარვეზები ბევრ სახლში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო დანიშნულების სხვა ობიექტებზე, რომლებიც საექსპლოატაციოდ ჯერ კიდევ შარშან გადაეცა. ყოველივე ეს ახალმოსახლეთა სამართლიან საყვედურს იწვევს.

თათბირზე წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია კაპიტალური მშენებლობის ამოცანათა უთუო გადაწყვეტაზე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების გავლენის გაძლიერება.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ქედიშვილმა.

(საკინფორმი).

ლენინური იდეების პროპაგანდის მებრძოლი კერა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს 60 წელი შეუსრულდა. არის რა იდეოლოგიური ბრძოლის წინა ხაზზე, იგი დიდ მუშაობას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა იდეური მემკვიდრეობის პროპაგანდისათვის, ქართულ ენაზე მათი ნაწარმოებების თარგმნისა და გამოცემისათვის, საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის პარტიულ, ორგანიზაციათა და რეგიონალიური მოძრაობის ისტორიის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვანი ტრადიციების მშრომელთა აღზრდის აქტიური საკითხების მეცნიერული დამუშავებისათვის.

ჩვენი პარტია თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დიდი იდეური მემკვიდრეობის ფართო პროპაგანდას, რეგიონალიური თეორიის მომწიფებული პრობლემების შემოქმედებითის დამუშავებას, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე მეცნიერების ცოდნით კომუნისტთა, ყველა მშრომელის შეიარაღებას. „კომუნისტური პარტიის ძალა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავის შესახებ, — ის არის, რომ მთელ თავის საქმიანობას, ყოველ თავის ნაბიჯს ამოწმებს მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავი მოძღვრებით, რომელიც ერთადერთ სწორ პასუხს სცემს საზოგადოებრივი განვითარების ურთულეს საკითხებზე, არის სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის ქმედითი მეთოდი".

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდასა და პარტიის ისტორიის პრობლემათა დამუშავებაში დამსახურებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს შრომის წითელი დროშის ორდენი მიენიჭა.

ინსტიტუტის 60 წლისთავსა და მისთვის სამადლო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 11 მაისს გაიმართა ინსტიტუტის საკქმო დარბაზში.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი ა. გ. ეგოროვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვარელიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ი. ნ. შირიკანი, პარტიის ვეტერანები, მეცნიერები, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს სასიხარულო მოვლენის გამო შევიკრებეთ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს გადაეცემა შრომის წითელი დროშის ორდენი, რომელიც მიენიჭა მას მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდასა და პარტიის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ შემუშავებაში დამსახურებისათვის.

დიდ სიამოვნებას მანიჭებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით გულითადად მიგულოცო პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო.

ლენინური იდეების პროპაგანდის მებრძოლი კერა

(დასასრული)

სწორედ ლენინის რჩევა-დარიგებები, მითითებები და მისი ხელმძღვანელობა იყო საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა წარმატების გადამწყვეტი პირობა.

არსებობის სამოცი წლის მანძილზე პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა ბევრი რამ გააკეთა პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეების პროპაგანდის დარგში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილიალებთან ერთად შესრულებული ფუნდამენტური ნაშრომები: „ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორიის ნარკვევები“ და „ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა საქმიანობა მშრომელთა ინტერნაციონალური ინტერესთა“. ამჟამად ამიერკავკასიის ფილიალები ამზადებენ ახალ ერთობლივ მონოგრაფიას, რომელიც ეძღვნება აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას კულტურული ურთიერთგაცვლისა და დაახლოების საკითხებზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ინსტიტუტმა მთელი თავისი სამეცნიერო-კვლევითი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მუშობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 12 აგვისტოს დადგენილების შემდეგ. აზორციელეს რა ამ დადგენილებას, ინსტიტუტმა მთელი ყურადღება მიაპყრო პარტიის ისტორიის საკითხების დამუშავებას, რომლებიც დაკავშირებულია განვითარებული სოციალიზმის აშენებისა და სრულყოფის პერიოდთან. გამოქვეყნებულია პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისა და შემდგომი დამკვიდრებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის საქართველოს კომპარტიის ბრძოლის სხვადასხვა მხარისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მონოგრაფიები. გამოვიდა მეოთხე ტომი მრავალტომიანი კრებულისა „საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, რომელშიც დოკუმენტურად აისახა პარტიის ყრილობების ‚ვადაწყვეტილებათა, საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეს წიგნი სერიოზული წყაროთმცოდნეობის ბაზაა ყველასათვის, ვინც თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომპარტიის საქმიანობას შეისწავლის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ინსტიტუტმა მთელი რიგი საინტერესო დისკუსიები გამართა პარტიის ისტორიის მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

მეცნიერულად დასაბუთებულად წარმართავს, თქვენი კოლექტივის მუშაობას სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, თქვენი სახელით მხურვალე მადლობა მოვახსენო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს, პირადად მის დირექტორს, აკადემიკოსს ანტონი გრიგოლის ძე ეგოროვს იმისათვის, რომ დიდ დახმარებას უწევენ არა მარტო საქართველოს კომპარტიის ‚ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს, არამედ მთელ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციასაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე არ ყოფილა არც ერთი დიდი იდეოლოგიური აქცია, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა სიმპოზიუმი, ფორუმი, რომ უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს, რაც მუდამ უზრუნველყოფს ამ ღონისძიებათა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ დონეს.

საკმარისია გავიხსენოთ ახლახან თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების პრობლემებზე, მეცნიერთა, მწერალთა, იდეოლოგიურ მუშაკთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კომუნისტის სახეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ბევრი სხვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დახმარებასა და მზრუნველობას ჩვენ დღენიადაგ ვგრძნობთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. გ. სტურუას ხელმძღვანელობით უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გარდაქმნა მუშაობა და სერიოზული წვლილი შეაქვს მეცნიერებამეც და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მუშაობაშიც.

ჩვენ, კომუნისტებს, საბჭოთა ადამიანებს, მრავალ სხვა ტრადიციასთან ერთად, გვაქვს ერთი კარგი, ლენინური ტრადიცია — ყველაზე საზეიმო, სადღესასწაულო დღეებშიც კი ძირითადი ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს, მუშობის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. ამიტომ ნურავის გაკვირვებს ის ფაქტი, რომ რამდენადმე გადაუზვავთ სიტყვის საიუბილეო საზეიმო ჟღერადობას.

როგორც ცნობილია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სულ უფრო იზრდება. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ახალი ადამიანის აღზრდის რთული, ორი ერთარსი პროცესი განაპირობებს აუცილებლობას მკვეთრად ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის დონე, ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოებრივ მეცნიერებებს უსახავს ახალ, გადიდებულ ამოცანებს, რომლებიც გულისხმობს საზოგადოების ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში ახალი მოვლენების მარქსისტულ-ლენინურ გააზრებას. სკკპ XXVI ყრილობამ საზოგადოებათმცოდნეებს მოუწოდა უფრო გაბედულად გაანალიზონ ეს მოვლენები, დაძლიონ მიდრეკილება სქოლასტიკური თეორეტიკოსობისადმი, უფრო ღრმად შეისწავლონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალური შედეგები, საზოგადოებრივი აზრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იურიკ ვლადიმერის ძე ანდროპოვის სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“ შეიცავს უაზნეშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ მითითებებს, რომლებითაც უნდა შეიარაღდეს ყველა ჩვენი საზოგადოებათმცოდნე, მათ შორის და უწინარეს ყოვლისა — პარტიის ისტორიკოსები. ეს არის თანამედროვე ეტაპზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომი განვითარების საკითხები, იმ ახლის გათვალისწინებით, რაც მოიტანა რეალურმა სოციალიზმმა, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკამ ჩვენს ქვეყანასა და სხვა სახელმწიფოებში.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მკაფიო მითითებები საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს საზოგადოებათმცოდნეების მთელ მუშაობას.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ნიადაგ უნდა ვსწავლობდეთ და ვაზოგადებდეთ ყოველივე ახალს, რაც იშვება სოციალიზმის მშენებლობის პროცესში, ვაანალიზებდეთ, ვამოწმებდეთ, თუ რამდენად კომუნისტურია ეს სიახლე.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასა და საქართველოს სს რესპუბლიკის თაობაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ დადგენილებებს, ბოლო ათ წელიწადში ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. საქართველოს სს რესპუბლიკაში იშვა ბევრი ექსპერიმენტი, წამოწყება, რომლებიც მეცნიერულად დასაბუთებულ გამოცდილებად გადაიქცა. გავიხსენოთ აბაშის ექსპერიმენტი, რომელიც არსებითად საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის მართვის მთელ რეორგანიზაციას ჩვენს რესპუბლიკაში და არა მარტო აქ, გავიხსენოთ ფოთის ექსპერიმენტი, რომელსაც უაღრესად ყურადღებით სწავლობენ ახლა რესპუბლიკაში და მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ანდა, ავიღოთ ბოლო წლების მანძილზე ისეთ სფეროებში შეძენილი გამოცდილება, როგორიც არის პარტიული ორგანიზაცია და ხალხის სულიერი ცხოვრება, პარტიული ორგანიზაცია და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფა, პარტიული ორგანიზაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, პარტიული ორგანიზაცია და ეკოლოგიური პრობლემები, პარტიული ორგანიზაცია და სახალხო განათლების პრობლემები, პარტიული ორგანიზაცია და სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და ა. შ.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ამ პროცესების შესწავლაში საკმარისად არ მონაწილეობენ პარტიის ისტორიის მეცნიერების სპეციალისტები და, კაცმა რომ თქვას, ყველა საზოგადოებათმცოდნე.

როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ ყურადღებით უნდა გადავსინჯოთ პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, ყველა ჩვენი იდეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები, რათა უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ისინი რესპუბლიკის პრაქტიკულ ამოცანებს. გეგმებში წარმოდგენილი უნდა იყოს პარტიის ისტორიის მეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემები, საქართველოს კომპარტიის მრავალმხრივი პარტიულ-ორგანიზატორული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის განზოგადებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებანი პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად.

სოციალურ პრაქტიკასთან მეცნიერული კვლევის კავშირის გადაჭრით განმტკიცების აუცილებლობის გათვალისწინებით უნდა გავაძლიეროთ ძიება და უფრო გაბედულად დავნერგოთ უახლესი საბჭოური და საზღვარგარეთული მიღწევები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, შევიმუშაოთ და დავასაბუთოთ პრაქტიკული რეკომენდაციები პარტიული მუშაობის სხვადასხვა მიმართულებით. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისით ინსტიტუტში უკვე წარმოება გარკვეული მუშაობა, მზადდება გამოცემათა სერია საერთო რუბრიკით: „მეცნიერება ვგირჩევენ“, დაწყებულია მუშაობა კოლექტიური მონოგრაფიის — „რეალური სოციალიზმის აქტუალური პრობლემების“ შესაქმნელად.

მინდა გამოვთქვა აზრი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მთელი პარტიული მუშაობის დონის ამაღლების შესახებ მეცნიერი საზოგადოებათმცოდნეების მიერ სრულფასოვანი რეკომენდაციების შემუშავების პრობლემა. თავისთავად ცხადია, რომ პარტიის ყოველი ისტორიკოსი ან ფილოსოფოსი, რა ფართო ერუდიციის მქონეც უნდა იყოს, ვერ ურჩევს პარტიულ მუშაკს ვერაფერს საყურადღებოს, თუ თავად არ იქნება ყოველდღიური პრაქტიკული საქმეების კურსში და განყენებული თეორეტიკოსობით შემოიფარგლება. უნდა უზრუნველვყოთ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მჭიდრო შემოქმედებითი თანამგზრობრობა, რათა მივაღწიოთ რეალურ შედეგებს ანუ სრულფასოვან, მეცნიერებითა და პრაქტიკით შემოწმებულ სასარგებლო რეკომენდაციებს.

თავისთავად ცხადია, რომ ინსტიტუტმა სულაც არ უნდა თქვას უარი საქართველოს პარტიის ისტორიის ადრეული პერიოდების საკითხთა დამუშავებაზე. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ წლებში შექმნილ ნამუშევრებს, რომლებიც ეძღვნება საქართველოში მარქსიზმის გავრცელების პრობლემებს, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების, ტროცკისტებისა და მემარჯვენე კაპიტულიანტებისა და სხვათა წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ბრძოლის საკითხებს.

საქმე ეხება იმას, რომ თანამედროვეობის საკითხები და პრობლემები, სწორედ ის საკითხები და პრობლემები, რომლებსაც საქართველოს კომპარტია წყვეტს მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, იყოს პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, სხვა იდეოლოგიური ინსტიტუტების მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყურადღების ცენტრში.

ეკონომიკური და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც შეუთავსებელია საბჭოთა ცხოვრების წესთან, საქართველოს კომპარტიის მიერ შეძენილი გამოცდილების განზოგადებაში დიდი სარგებლობა მოაქვს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს პარტიული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. ასეთი კონფერენციები ხშირად ეწყობა ბოლო წლებში, უმთავრესად პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დონეზე. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მომზადება-მოწყობაში უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ინსტიტუტის წამყვანი ძალები.

თავს იჩენს ასეთი ტენდენცია: მეცნიერთა მიერ რესპუბლიკის თანამედროვე პარტიული ცხოვრების შეფასება ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ დადებითია. როგორც წესი, ნაკლოვანებანი გვახსენებენ ხელმძღვანელობის შეცვლის დროს. სამწუხაროდ, ეს ასახავთებთ პარტიულ მუშაკებსაც, პარტიის ისტორიის მეცნიერების სპეციალისტებსაც. ეს მოწმობს ბევრი პარტიული მუშაკის უპირნციპობას და იმას, რომ მეცნიერთა ნაწილს არა აქვს მეცნიერული მეთოდოლოგია. ეს ტენდენცია ამხანაგებო, უნდა დავძლიოთ.

თუ ყურადღებით შევისწავლით საქართველოს კომპარტიის ყრილობების, მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, პარტიტვების, ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს, სოლქომ, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტებს, ცხადი გახდება, რომ ჩვენ ბოლშევიკურად ვავლენთ ნეგატიურ მოვლენებს, სერიოზულ ნაკლოვანებებს, შეცდომებს, ხარვეზებს, გულახდილად ვლაპარაკობთ ჩვენს ნაკლზე. მეცნიერულ შრომებში მექანიკურად კი არ უნდა ვიმეორებდეთ ამ ნაკლოვანებათა შესახებ ნათქვამს, არამედ ღრმად, მეცნიერულად უნდა ვაანალიზებდეთ, განვმარტავდეთ მათს წარმომშობ მიზეზებს, ვიძლეოდეთ მეცნიერულ რეკომენდაციებს, ვაფასებდეთ ვითარებას, ვსახავდეთ ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ტენდენციების განვითარების პერსპექტივებს.

ეს სასარგებლო იქნება არა მარტო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, არამედ, საქართველოს პარტიის ისტორიის მეცნიერების ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისთვისაც.

ყოველი პარტიული დოკუმენტი მეცნიერული განსჯის ფართო ასპარეზს იძლევა. როგორც წესი, მეცნიერული რეკომენდაციებიდან გამომდინარე პარტიული დადგენილებანი, პოლიტიკური დებულებანი მათი მიღების შემდეგ თავის მხრივ კვლავ თვისებრივად სხვა მეცნიერულ გაზრებასა და კვლევას მოითხოვს.

მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერულობა, უაღრესი ობიექტურობა, მაღალი კომპეტენტურობა, მეცნიერული დამოუკიდებლობა, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ერთგულება მიანიჭებს პარტიის ისტორიის მეცნიერებას, ისე როგორც ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებას, იმ მეცნიერულ სიღრმესა და ღირებულებას, რომელიც ესოდენ საჭიროა ეშმარიტების შეძეცნებისათვის, დამაჯერებლობისათვის. ეს ფრიად მნიშვნელოვანია!

პარტიის ისტორიის მეცნიერების სპეციალისტთა შრომები გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. ეს შრომები იქმნება ხალხისათვის, მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამიტომ მათი ღირებულების მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს არა იმდენად მრავალტომიანობა, რამდენადაც მათი დამაჯერებლობა, საბუთიანობა, ლოგიკურობა, დებულებათა და ფორმულირებათა სიახლე.

ბევრი რამ არის დამოკიდებული არ მარტო საკვლევი მასალის აქტუალურობასა და მეცნიერულ შედეგებზე, არამედ აგრეთვე მასალის მიწოდების ფორმაზე, მეცნიერის აზროვნების სტილსა და ენაზე, იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ მეცნიერულ შრომას გაკლენა მოახდინოს არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობებზეც, რა ემოციები შეიძლება გამოიწვიოს მკითხველში.

პარტიის ისტორიის მეცნიერებას აქვს არა მარტო მეცნიერული, არამედ იდეოლოგიური, პროპაგანდისტული, თუ გნებავთ, სააგიტაციო მიზნებიც. ჩვენ გვჭირდება არა მოსაწყენი ფაქტოგრაფია, არა ფაქტების უბრალო ფიქსაცია, არამედ გონებასა და გულზე აქტიურად მოქმედი მეცნიერული იდეები.

ჩვენ, პარტიულმა მუშაკებმა, თქვენგან, მეცნიერთაგან უნდა ვისწავლოთ მასების გონებასა და გულზე იდეურ-პოლიტიკური გავლენის მეცნიერება და ხელოვნება.

უფრო გაბედულად უნდა გადავლახოთ ზერელობა, პრიმიტივიზმი, დოგმატიზმი მეცნიერულ აზროვნებაში.

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, თუ როგორი შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ბოლო ათი წლის მანძილზე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე ცნობილი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ეს პროცესები მოითხოვს მეცნიერულ ანალიზს, გამოკვლევას, განზოგადებას, რომელშიც უნდა ჩავაბათ მეცნიერებათა კადემიაში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრების უწყებრივ სისტემებში მომუშავე მეცნიერ საზოგადოებათმცოდნეთა კოლექტივები.

ამ მუშაობის კოორდინატორი არსებითად უნდა იყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი. ამ საკითხზე გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. მხედველობაში მაქვს დადგენილება რესპუბლიკაში უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების შემდგომი გაზრდისთვის. მაგრამ საკოორდინაციო მუშაობაში დიდი ძვრები ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა ზოგიერთი რამ გაკეთდა.

ჩვენ გვაინტერესებს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესების შესწავლა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, სხვა პარტიული ორგანიზაციების ანალოგიურ პროცესებთან მჭიდრო კავშირით. ისინი, როგორც ჩანს, უნდა შევისწავლოთ არა ინდივიდუალურად, არამედ კომპლექსურად, წარმოვაჩინოთ ამ პროცესების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის სისტემა, მათი მრავალფეროვნება და ერთიანობა.

საქმე ეხება მეცნიერული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, თითოეული მეცნიერის ნიჭისა და უნარის აყვავებას. მთავარია გამოვზარდოთ ტალანტები, შევუქმნათ მათ შემოქმედებითი ვითარება. მხოლოდ ასე შევქმნით იმ მეცნიერულ შრომებს, რომლებსაც ჩვენგან ელის ხალხი.

ჩვენ ყველაფერს საბოლოო შედეგებით ვზომავთ. პარტიის ისტორიის მეცნიერების სპეციალისტები გამონაკლისი არ არიან. ამიტომ ყოველი შრომის ღირებულების საზომი არის არა ამა თუ იმ მეცნიერული შრომის რეალური არსებობა, არამედ ის, თუ რას აძლევს იგი მეცნიერებას, საზოგადოებას, ადამიანს.

პარტიის ისტორიის მეცნიერების დარგში ყოველი ახალი შრომის შეფასებისას სწორედ ამ კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჯერ კიდევ არასაკმარისად სრულდება მოთხოვნა, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ვამხილოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ისტორიის ფალსიფიკატორები. ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს ლაფში ამოსვაროს, ლანძღოს, ცილი დასწამოს საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური თანამგზრობრობის ქვეყნებს. ანტიკომუნისტური პროპაგანდის ძირითადი მიმართულებაა ყოველგვარი საშუალებებით, რადაც უნდა დაუჯდეთ განხეთქილება ჩამოაგდონ სსრ კავშირის ხალხებს შორის. საერთაშორისო იმპერიალიზმის პროპაგანდისტული მანქანა ისწრაფვის სახელი გაუტეხოს სოციალისტურ დემოკრატიას, უბადაღებული „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ნიღბით მიაღწიოს ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი საქმიანობის ლეგალიზაციას, ამნისტირებას. სამწუხაროდ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილებაში ქართველ საზოგადოებათმცოდნეთა წვლილი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივლისის პლენუმზე აღვნიშნეთ, რომ პარტიის ისტორიის ინსტიტუტი ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენია იმ ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის მუშაობაში, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია აზორციელებს.

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ გულმოდგინე, რთული, პასუხსაგები, პარტიისა და ხალხისათვის, თანამედროვეებისა და მომავალი თაობებისათვის ფრიად საჭირო შრომისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისადმი თქვენი ურყევი ერთგულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პარტიის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი ღირსეულად გაამართლებს პარტიისა და ხალხის მაღალ ნდობას, უპასუხებს მას მთელი მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებით, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერებით, როგორც ყოველთვის, მტკიცედ იდგება მეცნიერულობის, პარტიულობისა და მაღალი კომუნისტური იდეურობის ლენინურ პრინციპებზე!

ნება მიბოძეთ, შევასრულო სასიამოვნო მოვალეობა — გადავცე ინსტიტუტის კოლექტივს ჩვენი დიადი სამშობლოს მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი!

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ორდენი ინსტიტუტის დროშას მიაბნია.

საზეიმო სხდომის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ა. გ. ეგოროვის გამოსვლას, რომელმაც გულთბილად მიულოცა იუბილარ კოლექტივს სამშობლოს საპატიო ჯილდო, უსურვა ახალი დიდი წარმატებანი, გამოთქვა რწმენა, რომ იგი ღირსეულ წვლილს შეიტანს პარტიის XXVI ყრილობის მიერ შეჭიშვავებული ვრცელი და პასუხსაგები მეცნიერული პროგრამის განხორციელებაში.

ინსტიტუტის კოლექტივს გულითადად მიულოცეს იუბილე და სამშობლოს საპატიო ჯილდო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. პ. გულიევმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მ. ოკუჯავამ, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ჰ. რ. სიმონიანმა, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ. აღნიშნეს რა ინსტიტუტის დამსახურება მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდასა და პარტიის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებაში, მათ ინსტიტუტის კოლექტივს უსურვეს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მისმა დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, აღუთქვა, რომ საქართველოს პარტიის ისტორიკოსები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებაში.

(საქინფორმი)

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ბ. ბერიძე

დედაქალაქში ყვავილების ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „დღესასწაული უყვავილოდ“. ამის გამო თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ბ. ბერიძე გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „დღესასწაული უყვავილოდ“ მოყვანილი ფაქტები სწორია.

წლევანდელი წლის მარტის პირველ დეკადაში ნამდვილად ვერ შევასრულეთ დახურულ გრუნტში ყვავილების (მიხაკის) აჭრის გეგმა, რაც ძირითადად ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დაცემით იყო გამოწვეული.

გაზეთის სამართლიანი კრიტიკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ოპერატიული თათბირის მსჯელობის საგანი გახდა, სადაც დაისახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამასთან სამმართველოს ღია პარტიულ კრებაზე, სადაც განიხილეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საკითხი, მკაცრად იმსჯელეს საყვავილე მეურნეობისა და ყვავილის ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

შემდეგ კი სამმართველოს დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ბრძოლის კოორდინაციის საკითხზე გამართულმა სხდომამ მკაცრად გააფრთხილა სამმართველოს სანერგეს საორანჟერეო განყოფილება, თბილისის სბაზისო სანერგის და „ყვავილვაჭრობის“ კანტორის ხელმძღვანელობა, რათა ყოველგვარ პირობებში უზრუნველყონ დაგეგმილი რაოდენობით მაღალხარისხოვანი ყვავილის (მიხაკის) გამოყვანა-აჭრის და სარეალიზაციოდ რეგულარულად გამოტანის დავალების შესრულება.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

□ □

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ხოზრევანიძე და ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. შაინიძე

კლუბ-კანტორის შენობის ჭაბიანურებულ მშენებლობას ეხებოდა მკითხველთა სიგნალის შედეგად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „რაც ითქვა, რატომ არ გაკეთდა?“. ამის გამო რედაქციამ ორი პასუხი მიიღო. პირველ პასუხში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ხოზრევანიძე გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეებში 1967 წელს დაიწყო კლუბ-კანტორის მშენებლობა, მაგრამ შენობის აგებას იმ ტერიტორიაზე კი არ შეუდგნენ, სადაც პროექტით იყო გათვალისწინებული, არამედ სულ სხვა ადგილას. ამას კი ამავე სოფლის ზოგიერთ მცხოვრებთა გაუთავებელი დავა მოჰყვა იმ მოტივით, რომ მშენებარე ობიექტი ახლოს იყო სოფლის სასაფლაოსთან. მშენებლობა შეაჩერეს. ისიც აღსანიშნავია, რომ არსებითად კლუბ-კანტორის აშენება სასაფლაოს არავითარ ზიანს არ აყენებდა.

გაზეთში გამოქვეყნებული სტატია განიხილა საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის ბიურომ და აღნიშნულ ფაქტს სათანადო შეფასება მისცა.

ხულოს რაიონის ოქრუაშვილების კოლმეურნეობის გამგეობამ სოფელ ძირკვაძეებში კლუბ-კანტორის მშენებლობა შეიტანა მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმაში.

მეორე პასუხში ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. შაინიძე გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. რაისაბჭოს აღმასკომმა ამ ობიექტის მშენებლობის განახლებისათვის კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. ეს მშენებლობა შეტანილ იქნა 1983 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმაში. ახლა უკვე მზად არის ტექნიკური დოკუმენტაცია, გამოიყო საჭირო რაოდენობის საშენი მასალები, მუშახელი, განხორციელდა ღონისძიებები იმისათვის, რომ მშენებლობა წელსვე დამთავრდეს.

პირველად რესპუბლიკაში

ცხაკაიას რაიონული გაზეთი „კოლხეთი“ 60 წლისაა

სამოცი წელი გავიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცხაკაიას რაიონული კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს ორგანოს გაზეთ „კოლხეთის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან. დღევანდელი „კოლხეთის“ წინამორბედის „კომუნის“ სახელწოდებიდან მოყოლებული დღემდე

უსასოდოდ

ფაქტები მოვლენები

საკლასო იუფყუება

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების 100 წლისთავის გამო

სიტყვიერების მეუფე, სახელოვანი სარდალი

„გრიგოლ ორბელიანი — მეუფე ჩვენი სიტყვიერების ძალ-ონისა და სიმდიდრისა. იგი მწერალი და მთქმელი მაღალის ნიჭით ცხებული“ — ასე შეაფასა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება დიდმა ილიამ. აკაკის სიტყვით, „ორბელიანი საუკუნეების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და ამაღლდება, მომავალი დრო და თაობა „გონების თვალით“ შეხედავს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, რომლის სამარე ქაშვეთის ეკლესიის ცივი მიწა კი არ არის, არამედ ქართველი კაცის ნათელი და მხურვალე გული“.

პოეტის ცხოვრება ყოველთვის როდია მისი შემოქმედების ყოველმხრივი გასაღები, მაგრამ არიან მწერლები, რომელთა ცხოვრება წარუშლელ ბეჭედს ასვამს ყველაფერს, რაც მათ შექმნეს, ცხადია, გრ. ორბელიანის პირადი ცხოვრება და ლექსები ერთ საფუძველზეა აღმოცენებული, ერთმანეთის გაგრძელებაა. გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის შესწავლა დაგვეხმარება სავსებით შევიცნოთ მისი უაღრესად კოლორიტული და ორიგინალური შემოქმედება, გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი კვალი დაიჩნია მან ახალი ქართული პოეზიის განვითარებას და როგორ ისტორიულ საფუძველზე აღმოცენდა ის, რასაც ჩვენ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას ვუწოდებთ. გრ. ორბელიანის პოეზიაში არც გაორებაა და არც წინააღმდეგობა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გრიგოლ ორბელიანი დარჩება როგორც ქართული ლექსის დიდოსტატი და ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული პოეტი. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ძველი ქართული ლირიკის ტრადიციებიც მკვეთრად არის ასახული, პოეტი ქართული ქალაქური ფოლკლორის ტრადიციებთან სიახლოვეს სისხლხორცეულად ამყოვანებს და მის ლექსებში ახალი პოეზიის სუნთქვაც ძალუმად იგრძნობა.

გრ. ორბელიანს ფრიად რთულ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა...

როგორი იყო წინარე პერიოდი? ერეკლე II ეძიებდა რუსეთთან კავშირს, როგორც პირდაპირი შთამომავალი კახთა იმ მეფეებისა, რომლებმაც რუსეთთან კავშირი კახეთის სამეფოს სახელმწიფო პოლიტიკად აქციეს. დაწყებული ლევან კახთა მეფით მისი შემკვიდრე ალექსანდრე, ალექსანდრეს შვილები გიორგი და დავითი — დავითის ძე თეიმურაზ პირველი, თეიმურაზის ძე დავითი, თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ირაკლი პირველი, ირაკლი I-ის ძე თეიმურაზ მეორე და თეიმურაზ მეორის ძე ერეკლე II — ყველა ესენი რუსეთთან კავშირს ეძიებდნენ და მაჰმადიანური აღმოსავლეთიდან თავდასხნის ერთადერთ გზად რუსეთი მიაჩნდათ. იგი ერთმორწმუნე ქვეყანა იყო და სწორედ რუსეთი დუპირისპირდა საუკუნეების მანძილზე მათი სამშობლოს მოსისხლე მტრებს. ბუნებრივია, ქართველთა მესვეურებს ირანსა და თურქეთთან დაპირისპირებულ ქვეყანასთან უნდა ეძიათ კავშირი და ურთიერთობა, და ასეც მოიქცნენ.

გრ. ორბელიანი გაორებულ პიროვნებად არის შერაცხული. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მოვლენა. ასეთი გაორება საერთო იყო ქართველ საზოგადოებაში 1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ. სწორედ ამ მარცხმა აუცილებელი გახადა მხოლოდ და მხოლოდ ერთგული, თავგანწირული სამსახური ფიცმოღებული ქართველი ოფიცრებისა, მთელი ენერგიისა და ყურადღების სამოქალაქო შემოქმედებითი ცხოვრების სარბიელზე გადატანა, რათა ქართველ ხალხს განვითარებისა და წინსვლის გზა გაადვილებოდა. 1832 წლის შეთქმულების მარცხის დადებითი შედეგი ამ შეგნების წარმოშობა იყო ქართველთა მოწინავე წრეებში, რაც ისტორიულ პერსპექტივას სწორად უპასუხებდა.

ამ შეგნებას ისიც ამაგრებდა, რომ ქართველი შეთქმულნი და მათთან ერთად მთელი ქართველი საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ევროპასთან ყოველგვარი კონტაქტის გზა დახშული იყო, ხოლო სპარსეთისა და თურქეთისაკენ ცქერა—ამაო და განწირულთა სულისკვეთება; რომ ეს ქვეყნები არ წარმოადგენდნენ ისეთ რეალურ ძალას, რომელსაც შეეძლო შეეცვალა ან დაპირისპირებოდა ამერკავკასიაში რუსეთის ძლიერებას, ირანი და თურქეთი ერთადაც კი ვერ გაუმკლავდებოდნენ რუსეთს, ვერ შეაჩერებდნენ მის ძლევამოსილ წინსვლას პირაქეთა კავკასიაში და, ამდენად, მათთან რაიმე პოლიტიკური პერსპექტივების დაკავშირება, რის იმედიც შეთქმულებს ერთხმად ჰქონდათ, მომაკვდინებელი იქნებოდა.

გრ. ორბელიანს შეთქმულების საგამოძიებო კომისიისათვის განუცხადებია: „რადგანაც სპარსეთისა და თურქეთის შემოსევათაგან აოხრებულმა საქართველომ ვეღარ შეძლო ამ შემოსევათაგან თავდაცვა, თავი შეაფარა სულგრძელ მფარველობას რუსეთისა, რომელსაც შეუძლია სახელოვანი გამარჯვებებით შური იძიოს საქართველოსათვის“...

გრიგოლ ორბელიანიც და სხვა შეთქმულნიც დარწმუნდნენ, რომ აუცილებლობა მოითხოვდა ერთგულად ეთანამშრომლათ რუსეთთან და ეროვნული ინტერესების სადარაჯოზეც ფხიზლად მდგარიყვნენ. ეს იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი შექმნილ რთულ ვითარებაში, ეს გახლდათ გრიგოლ ორბელიანისა და მის თანამედროვეთა ეგრეთ წოდებული გაორების საფუძველი.

1838 წელს გრიგოლს გორში მდგარ გრენადერთა პოლკში ჩარიცხავენ შტაბსკაპიტნის ჩინით. აქ მან ცოტა ხანს დაჰყო, მიზნით აახლებს კოლეგიის რეგისტრატორს ჭეშმარიტოვს და ნაიბის ერთგულ ბატირს.

პირველად სარდლობა ეჭვით უყურებდა ჰაჯი მურატის გადმობირების „საქმეს“, მაგრამ ორბელიანის გონივრულმა დიპლომატიამ ოცნება სინამდვილეს დაამსგავსა, ამიტომ მთავარსარდალი ფონ კლუგენაუ თავის მხრივ ეკითხება მეფისნაცვალ ნეიდჰარდტს როგორ მოვიქცეო, გავუგზავნო თუ არა ორბელიანს ბეჭდიანი ქაღალდი, რასაც ითხოვსო.

მეფისნაცვალმა „საქმე“ მოიწონა, პირობის გაგზავნის დასტური მიეცა ფონ კლუგენაუს და ყველაფერი რიგზე წავიდოდა, რომ სწორედ იმ დროს არ გარდაცვლილიყო ჰაჯი მურატის მოსისხლე მტერი ახმედ ხან მეხთუელი. გრიგოლ ორბელიანი ავარიიდან გადმოიყვანეს და ახმედ ხანის ადგილზე დანიშნეს, ჰაჯი მურატი კი სხვას არავის ენდო, ამიტომ მისი შემორიგების „საქმე“ მთელი ათი წლით გადაიდო.

მარტო ჰაჯი მურატი კი არა, თვით ლეგენდარული შამილი მართავს გრიგოლთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას.

შამილმა 1843 წელს სთხოვა გრიგოლ ორბელიანს თავის რუსთაგან ტყვეენილი შვილის გამოხსნაში დახმარება, ახულგოში რომ დაატყვევეს და კადეტთა კორპუსში გაამწესა სასწავლებლად ნიკოლოზ პირველმა.

ორბელიანი თხოვნას ხალისით შეხვდა და მაშინვე მიმართა სარდალ ფონ კლუგენაუს. ამან თავის მხრივ მეფისნაცვალს აცნობა და მოახსენა. მეფისნაცვალმა მეფეს შეატყობინა ორბელიანის მიერ აღძრული საქმის ვითარება. იმპერატორმა შამილის შვილის განთავისუფლებაზე მტკიცე უარი განაცხადა. იგი თავის მფარველობაში აიყვანა და მასწავლებლები მიუჩინა. არც მოლება დააკლო და არც სარწმუნებრივი აღზრდა. მაგრამ შეუვალად განაცხადა, ვერ გავათავისუფლებო. შამილს კი შეუთვალა, თუ გინდა გაიგო, როგორ არის შენი შვილი, სანდო კაცი გამომგზავნე, ვუჩვენებ და დარწმუნდესო. კაცის გაგზავნა შამილმა არ ისურვა და ასე წარმატებით დაწყებული საქმე იმჯერად შეწყდა. ეს მოლაპარაკება გრიგოლ ორბელიანის დაუღალავი მეცადინეობით კვლავ განახლდება, შამილის შვილს გაათავისუფლებენ და სამშობლოში დააბრუნებენ, მაგრამ ეს გვიანდელი ამბებია.

საინტერესოა აქ თვით ფაქტია, ჰაჯი მურატიცა და შამილიც ნდობას უცხადებენ და ანგარიშს უწევენ გრიგოლ ორბელიანს, რაც თავისთავად მეტყველებს გრიგოლ ორბელიანის დაღესტანში მოხვეჭილ ავტორიტეტზე.

გრიგოლ ორბელიანი მიურიდიზმის საშიში, მამაცი და ჭკვიანი მტერია. მას აქვს არა მარტო სწრაფი მანევრირების, მოულოდნელი თავდასხმის ორგანიზების და ელვისებურად თავზე წადგომის უნარი (გეგრგებელისა და სალათავიის ბრძოლები), არამედ საქმის ვითარებაში ღრმად ჩაწვდომისაც და მთის ხალხის გულის მოგების უნარიც. ამის გამო იგი ბევრ საზრუნავს უჩენს შამილს.

1853 წლის 2 თებერვალს კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვი კასპიისპირეთის ჯარების სარდლად ნიშნავს გენერალ-მაიორ გრიგოლ ორბელიანს, ხოლო მის ადგილზე ლეკის ხაზის უფროსად გენერალ-მაიორ ვრანგელს.

„ორივე გენერალმა სავსებით გაამართლა ჩემი ნდობა: გენერალ-მაიორმა თავადმა ორბელიანმა არა მარტო წარმატებით დაიცვა მისდამი დაქვემდებარებული მხარის სიმშვიდე 9 თვის განმავლობაში, არამედ ჯარების ქეთილგონივრული განლაგებით, შემოჭრილი მტრის პარტიებს მათთვის არახელსაყრელი შეხვედრებიც მოუწყო და არაერთხელ დასჯა ისინი ძლიერი დამარცხებებით, მთიელთა არც ერთ ცდას არ მოჰყოლია წარმატება და ყოველი გამოხდომა საგრძნობი ზარალის ფასად დაუჯდათ, როცა ელისუს ყოფილი სულთანი დანეელ-ბეგი დიდძალი ბრბოებით შეიჭრა მთიან მაჰალში და სცადა იქ დამკვიდრება, გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი სამაგალითო გულმოდგინებით ეხმაურებოდა მეზობელ უფროსებს საერთო საქმეში, შესაძლებლად ცნო დაეძრა იმ მხარეში ძლიერი რაზმი, რამაც არამცირე დახმარება გაუწია შფოთის თავების ბრბოების განდევნის საქმეს“. ვორონცოვის მიერ სხვა გენერლებიდან გრიგოლ ორბელიანის გამორჩევა და შამილის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარების უფროსად ქართველი გენერლის დანიშვნა გრიგოლ ორბელიანის ნიჭისა და ძალის აღიარება იყო.

ორბელიანმა განიზრახა მოულოდნელად შეჭრილიყო სალათავიაში. მან სწრაფად გაიარა მძიმე გზა ევგენიევსკოეს სამგორიდან, ფეხოსნებითა და ცხენოსნებით მიუახლოვდა ძველ ბურთუნაის, მაგრამ უეცრად აღმოჩნდა, რომ შამილის ურიცხვი ჯარი ლეკის ხაზის მარცხენა ნაპირს უტევს და ფრონტის ხაზი დასუსტდაო. იგი უეცრადვე გამობრუნდა უკან. სარდალი სალათავიიდან თემურ-ხან-შრში დაბრუნდა, მაგრამ სალათავიელები სასტიკად დაისჯნენ კადნიერებისათვის და მეფის ნაცვალი რეადი გულითად მადლობას უხდის ორბელიანს ამ ფრიად კარგად მოსაზრებული და შესანიშნავად შესრულებული ლაშქრობისთვის.

მეფის ნაცვალი ვორონცოვი 1854 წლის 24 აგვისტოს შლანგენბადიდან სწერს ბარიატინსკის, შამილმა მთებში დაიხია, რომ გრიგოლ ორბელიანს მოუბრუნდესო. მორიგ წერილში იგი აღტაცებულია რუს-ქართველთა მხედრობის გამარჯვებით კურუდართან (თურქეთის ფრონტი), რასაც მაკდონალდის იტალიის არმიის მოძრაობას ადარებს ავსტრიელთა ცენტრში ვაგრამის ბრძოლაში და განაგრძობს:

„დიდება ქართველ მოსახლეობასაც და ყველა ქართველ ტომს ერთგულებისა და გმირობისათვის, რასაც მარად იჩენენ და რაც დაბოლოს შეაფასა რუსეთმა. მე ვფიქრობ, რომ ახლა გერმანელები (იგულისხმებიან ვოლფი და კო

გულო ჩემო, საქართველოვ!

ვინდა გიამბოთ ამ სანუკვარ საქართველოზე, რომელმაც დიდი ხანია დაიდო ჩემს გულში ბინა. გულს კი, მოგეხსენებათ, თავისებური, განსაკუთრებული გეოგრაფია აქვს. და ეს უბრალო სიტყვა, ძვირფასო მეგობრებო, ჩემამართვი ჩვენი ორი ხალხის დღესასწაულზე წარმოთქმულ სადღეგრძელოდ — წელს ჩვენ ხომ ერთად აღვნიშნავთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ხშირად მომხდარა, რომ ჩვენთვის უცნობი ახალი მხარე აღმოგვიჩენია დიდი ხნით ადრე იწამდე, სანამ პირველად ვნახავდით. ასე მაქს „აღმოჩენილი“ საქართველოც. მე, კომპოზიტორს თავდაპირველად მისი ხმა უნდა გაგეგონა. და მუსიკა, ბრნის სხივებით გამსჭვალული, მთის ჰაერის სურნელით აღსავსე მუსიკა მომეკონა ჯერ კიდევ მოწაფეობის ჟამს, როცა ჯერ არაფერი მსმენოდა „თბილისობის“ დღესასწაულებზე.

ამ თასით შენ გადღეგრძელეს, ჩემო პირველო ქართველო მეგობარო, ფილიპე ღლონტო! გახსოვს ჩვენი სტუდენტური წლები, ასე სწრაფად რომ გაიქროლეს რუსეთის უძველესი კონსერვატორიის კედლებში? ჩვენ ყველას პროფესიად მუსიკა გვქონდა ამორჩეული, მაგრამ ჩვენშიაც კი შენ მუსიკის რაღაც განსაკუთრებული, უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩეოდი.

სალამი თქვენდა, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გია ყანჩელო და ბიძინა კვირნაძეს! ჩვენ ერთმანეთი გავიცანით გზის დასაწყისში, როცა ჩვენი მუსიკა ჯერ სპეციალისტთა ვიწრო წრეს არ გასც�eოდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი, გია ჩემო, ლენინგრადელმა დირიჟორმა იური ტემირკანოვმა დიდი წარმატებით შეასრულა ამერიკის შეერთებულ შტატებში შენი მეოთხე სიმფონია ფილადელფიის ორკესტრთან ერთად. ვხარობდი შენი წარმატებით, ისე ვხარობდი, თითქოს ჩემი ყოფილიყო. დღეს სიმფონიურ ჟანრში შენ ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ხარ საბჭოთა კომპოზიტორებს შორის. შენი ექვსი სიმფონია — ეს არის ექვსი მუსიკალური ტილო, გაჯერებული და გამსჭვალული ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ენერგიით. და რაოდენ ლირიკული, რაოდენ ლბილია შენი დრამატული, ექსპრესიული მუსიკის გვერდით ბიძინას თხზულებათა თვალწარმტაცი სამყარო. მაგრამ თქვენ ორივეს გაერთიანებთ ჰარმონიის, ამაღლებული თანამედროვე მშვენიერების ძიება.

ლენინგრადელებს კარგად ახსოვთ შენი დირიჟორის წკირი, ჩემო უბადლო ჯანსუღ კახიძე, ბუნებამ უხვად დაგანათლა ნიჭი, რომელსაც შენ ასევე უხვად ახმარ თეატრსა და ფილარმონიას, მუსიკის ქმნილებებსა და ვოკალს. სწორედ შენი წყალობაა, რომ ქართული ხალხური მელოდიები პირველქმნილი სიხალასით მოესმა ფილმში „არ დაიდარდო“! მე მაყისვე შევიცან შენი ხმა მრავალთა შორის და როგორც ქართულ სუფრას მუდამ ჰყავს თავკაცი, რომელიც მიუძღვის და თავს ეალება ყველას, ასევე შენი მაღალი ხმაც ამპრროვიზაციის ჰანგებს მატებს მელოდიის და მუსიკას ახალისებს ჰაეროვანი ვარიანტულობით, მორგებული დეტალებით. მადლობელი ვარ შენი, ჯანსუღ, იმისთვისაც, რომ საქართველოში პირველმა შეასრულე ჩემი სიუიტა ბალეტიდან „სამყაროს შექმნა“.

ქედს ვიდრეკ შენ წინაშე, ქართველ მუსიკოსთა უზოკესო ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძეს! შენ თვისტომად გრაცხენ თბილისშიც და ლენინგრადშიც, სადაც ამდენი ძველი მეგობარი გყავს. ჩვენ ყველას გვიყვარხარ შენი გასაოცარი სისპეტაკის, კეთილშობილების, გულალალობისათვის, მუსიკის ჭეშმარიტად რაინდული სამსახურისათვის. რაოდენ კარგია შენი სტუმართმოყვარე სახლი, ასე რომ ჩამოჰგავს თავისი იერსახით პატრონს! აქ ყველაფერი ემორჩილება არა წესრიგს წესრიგის გულისათვის, არამედ ცოცხალ შემოქმედებითს წესსა და რიგს: საწერ მაგიდაზე ხელნაწერები და უამრავი წიგნი დახვავებულა, როიალზე ნოტებია გადაშლილი, მეზობელი ოთახიდან მუსიკის ხმა ისმის: ვაჟს ამხანაგები მოუყვანია და რაღაცას იმეორებენ... როგორც ლენინგრადის კომპოზიტორთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მინდა გადავცე ჩვენებურ ქართველს, რომ იგი მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ჩვენი შემოქმედებითი კავშირის წევრად. მე არ მეგულება სხვა კომპოზიტორი, ბატონ ანდრიასავით ორგანულად რომ ჰქონდეს შერწყმული თავის შემოქმედებაში ძველი ქართული და პეტერბურგული კულტურული ტრადიცია. ჩვენ მოველით, ძვირფასო კოლეგავ, შენს ახალ საავტორო კონცერტს ლენინგრადში.

საქართველოში სამჯერ ვიყავი და ყოველ ჯერზე მტაცებდა და მაჯადოებდა იგი ჩემთვის უცნობ ადამიანთა გასაოცარი სიწრფელითა და სიკეთით. საკმარისი იყო ჩემს თანამგზავრს დასცდენოდა მხოლოდ ერთი ფრაზა — „ეს ჩვენი ლენინგრადელი სტუმარიაო“, რომ მყისვე შევგვრძნობდი ხოლმე ჭეშმარიტად ქართულ გულითადობას. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი, რომ ჩემიანებთან, მეგობრებთან ვარ, და ისინი მზად არიან მიწილადონ ყოველივე, რაც კი რამ გააჩნიათ, გახსოვს, გია, დიდი ფიროსმანის მოხატულ დუქნებში რომ დამატარებდი, გახსოვს, გიანინბამდე რომ შევრჩებოდით ხოლმე, ცხარედ მოკამთენი, თბილისელ მხატვრთა სახელოსნოებში? მაინც, რამდენი ტალანტია! რაოდენ გასაოცარია სამყაროს მათეული აღქმა!

საქართველო ჩემთვის — ეს არის ბედნიერი შეხვედრა გიორგი დანელიასთანაც, რომელმაც შეძლო ნამდვილად გავეტაცე კინოში მუშაობით. „ზზა მისადგომისაკენ“, „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“, „ოცდაცამეტი“, „ხელიდან წასული“ — ეს ფილმები ჩემთვის საფეიერვერი იყო კინოსპეციფიკის წვდომის, კინემატოგრაფში საკუთარი სახის ძიების გზაზე. შემდეგ კი გიორგი დანელიამ მიმიწვია ფილმზე „არ დაიდარდო“. ძველი თბილისი, საუკუნის დამდეგი... ერთი თვით უნდა ჩამოვსულიყავი საქართველოში, რათა მთელი არსებით შემეგრძნო მისი ჰანგების სურნელი, მაგრამ სასწრაფოდ უნდა დამემთავრებინა ოპერა კიროვის თეატრისათვის, და ჩემს ნაცვლად ყანჩელი შევთავაზე. ასე იშვა რეჟისორისა და კომპოზიტორის კიდევ ერთი შემოქმედებითი დუეტი. „მიმინოში“ დანელიას უნდოდა ერთმანეთს შეეხვეოდრებინეთ, და ჩვენც ერთად ვქმნიდით სურათის მუსიკალურ ქარგას, ერთმანეთს ვუჩვენებდით თემებს, მაგრამ გადაღების პროცესში ვიგრძენი, რომ შენ, გია, უკეთ გაართმევდი თავს ამ საქმეს უჩემოდ. და მაშინ დანელიამ დაგვიდო ჯენტლმენური შეთანხმება: თუ ერთად წერა არ გინდათ, მაშინ რიგრიგობით მემუშაავეთო. ჩვენც არ ვტეხთ სიტყვას: მე დაწერე მუსიკა „შემოდგომის მარათონისათვის“, ხოლო ჩემმა მეგობარმა — ახალი სურათისათვის — „ცრემლები“...

აი ახლა გავიფიქრე, საქართველო ჩემი თეატრალური ნაწარმოებების პირველ დადგმასთანაც არის-მეთქი წილნაყარი. ვერ წარმოიდგენია „პეტრე პირველი“ და „პუშკინი“ ს. მ. კიროვის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ოოსებ სუმბათაშვილის საოპერო დეკორაციების გარეშე, რომელმაც აზრით უაღრესად ტევადი და ფორმით სრულქმნილი სპექტაკლების საჩინო სახეები შექმნა. ამავე სცენაზე სულ ახლახან გაიმართა პრემიერა ოპერისა „მაიაკოვსკი იწყება“ — ეს გახლავთ მესამე ნაწილი თეატრალური ტრიპტიქისა დიდ რუს მამულიშვილთა ბიოგრაფიებში წარმოჩენილი რუსეთის სვე-ბედის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტურ ემოციებში გადმოსჩქეფდა მისი სამშობლოული ტემპერამენტი, და მეც მძიგებად ასხმული მკაფიო რითმები უსათუოდ უნდა ამეკღერებინა მუსიკაში.

ამ მეგობრულ საუბარში უშენობა არ იქნება, ძვირფასო ევგენი მაჭავარიანო. — შენ — მუსიკალური კრიტიკოსი და პუბლიცისტი, სწერდი წარსულსაც და აწმყოსაც, და კომპოზიტორმსმენელის შემაკავშირებელ რგოლად გვევლინები. შენ მოიზიდე კინოში ხალას კომპოზიტორთა ძალები, ხოლო შენი სატელევიზიო საუბრები თანამედროვე მუსიკაზე მართლაცდა მშვენიერია.

საქართველოს მუსიკალური ხელოვნება უკვე დიდი ხანია გახდა ნეგისპირა ქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მკაფიო მოვლენა. ჩვენი მეგობრები აქ რეგულარულად მართავენ საავტორო საღამოებს, ბევრჯერ ყოფილან ფესტივალების „ლენინგრადული მუსიკალური გაზაფხულისა“ და „თეთრი ღამეების“ სტუმრები. რამდენ სიხარულს ჰგვრის ყოველი ახალი შეხვედრა მსმენელებს ელისო ვირსალაძესთან, ლეკსო თორაძესთან, ნანი ბრეგვაძესთან, ვახტანგ კეკაბიძესთან!.. ამ ნუსხის განგრძობა შეგვიძლია. ახლა ლენინის ქალაქში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები „ორერა“ და „ვია-75“. სტუმართა განკარგულებაშია ყველაზე დიდი დარბაზი — „ოქტომბრის“ დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც ცნობილი სოლისტები და ანსამბლები გამოდიან ხოლმე.

დღეს ჩემი საქართველო ნაწილიც არის ჩემი პირადი ცხოვრებისა მას შემდეგ, რაც ჩემი ქალიშვილი ოლღა ქართველ მეზღვაურს გიგი გოგიტიძეს მისთხოვდა. ორი წლის წინ პაპა გავხდი. შვილიშვილს პეტრე დაარქვეს. ახლა კი გოგონაც გაგვიჩნდა, რომელსაც მანანა ჰქვია.

იხარონ და იბედნიერონ პეტრე და მანანამ, რომლებიც თავიანთი სიცოცხლით განასახიერებენ ჩვენი ხალხების მოყვრობას, ბრძოლით, გარჯით, შემოქმედებით შედეგებულ მეგობრობას. და ეს ურღვევი მეგობრობაა ჩვენი დიადი მამულის წარსული, აწმყო და მომავალი.

ანდრია პეტროვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირის ლენინგრადის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე. (საქინფორმი).

დაწინაურდა ე. გუფელდი

თბილისში მიმდინარე გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო საჭადრაკო ტურნირის შემადგენლობა ერთი კაცით შემცირდა. თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო ლვოველმა დიდოსტატმა ა. მიხალჩიშინმა.

მეოთხე ტურში თ. გიორგაძემ და ე. გუფელდმა, რომლებიც ახლა კმაყოფილი არიან თავიანთი სატურნირო მდგომარეობით (ეს განსაკუთრებით თ. გიორგაძეზე ითქმის) სწრაფად „დაკარიელეს“ საჭადრაკო დაფა და ყაიმზე შეთანხმდნენ. უფრო საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი ზ. აზმაიფარაშვილი და ე. უბილავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია უპირატესობას, ისინიც დაზავდნენ. სამაგიეროდ, მთელი საღამოს მანძილზე მაყურებლები დაძაბული აღევნებდნენ თვალს ბ. გურგენიძე-ზ. სტურუას შეხვედრას. გათამამდა ესპანური პარტიის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც ორივე მოჭადრაკეს ჩინებულად აქვს შესწავლილი. ცხარე შეხლა-შემოხლა გაჩაღდა ლაზიერის ფრთაზე, სადაც გურგენიძე შეეცადა მხედრით შეეჭრილიყო მეტოქის განლაგებაში, სტურუა კი ეტლებით ღია ხაზს დაეუფლა. შემდეგ გურგენიძე მძიმე ცაატნოტში აღმოჩნდა, მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. ე. გელერ-გ. ზაიჩიკის პარტია გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდა ე. გუფელდი, რომელმაც 2,5 ქულა დააგროვა. ზ. სტურუამ ორი დამთავრებული პარტიიდან ორივე მოიგო, მაგრამ მესამე ცუდ პოზიციაში აქვს გადადებული. თ. გიორგაძეს სამი შესაძლებლიდან ორი ქულა აქვს და, გარდა ამისა, ერთი მოსაგებ/პოზიციაში გადადებული პარტია.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. მშვიდობის ველოორბოლის მეორე ეტაპი (ოლშტინი — ტორუნი, 171 კმ) მოიგო ოლაფ ლუდვიგმა (გდრ). მეორე იყო კუბელი რობერტო როდრიგესი, მესამე — უნგრელი იშტვან ტოტი, მეოთხე — საბჭოთა ველოსიპედისტი ოლეგ ჩუკდა. პროლოგისა და ორი ეტაპის ჯამით საერთო ჩათვლაში ლიდერობს ჩუკდა. გუნდურ რბოლაში კვლავ პირველ ადგილზე არიან გდრ-ის სპორტსმენები. საბჭოთა ნაკრები ლიდერთან მხოლოდ 11 წამით აგებს და მეორე ადგილზეა.

მაგიდის ჩოგბურთი. ტოკიოში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში ჩინელმა სპორტსმენებმა ხუთიდან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს: გო იუეხუამ ვაჟთა ერთეულებში და აგრეთვე მერეულ წყვილებში ნი სიალიანთან ერთად გაიმარჯვა. ქალთა ერთეულებში უძლიერესი იყო ცაო იანხუა, შენ ძიანბინმა და დაი ლილიმ პირველობა არავის დაუთმეს ქალთა წყვილების შეჯიბრებაში. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს იუგოსლავებმა დრაგუტინ შურბეკმა და ზორან კალინიჩმა.

ხელბურთი. კიუნასში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი შეჯიბრები. გთავაზობთ შედეგებს: მოსკოვის „კუნცევო“-მინსკის ასკ — 29:28, ცსკა-მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 29:26, კიუნასის „გრანტასი“-ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი — 24:23. შეგახსენებთ, ეს კოლექტივები I-VI ადგილებისათვის იბრძვიან. VII-XII ადგილებისათვის მებრძოლი ჯგუფის დასკვნითი ასპარეზობა ლენინგრადში გაიმართება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ჯერჯერობით XI ადგილზეა.

ფეხბურთი. მეორე ლიგის მეცხრე ზონის გუნდების საკავშირო პირველობის მეხუთე ტურის შემდეგ 8 ქულით ერთიანი-როგნულად ლიდერობს ამბოვიანის „კოტაიკი“. 7-7 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან აშხადის „კოლხოზჩი“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, ბათუმის „დინამო“ და ფოთის „კოლხეთი“.

ჭადრაკი. გორში დამთავრდა საქართველოს პირველობა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის. გოგონათა შორის პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ქეთევან კახიანმა (ბარდაბანი), მარინე გაგნაშვილმა (თბილისი), მაია ქორტიაშვილმა (თბილისი) — 9,5-9,5 ქულა. ჭაბუკთა შეჯიბრებაში კვლავ გაიმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა, თბილისის 132-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ ლაშა ჯანჯღავამ — 10,5 ქულა. მან ორი ქულით გაუსწრო ზუგდიდელ მოსწავლეს სანდრო დგებუაძეს. III-IV ადგილები გაიყვეს ბაკურ თავაძემ (თბილისი) და ოლეგ სტრელნიკოვმა (რუსთავი) — 7,5-7,5 ქულა.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 მაისს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, კულტურის დამსახურებული მუშაკი

ვლადიმერ ალექსის ძე წინდაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დებიუტი მარნეულში

მარნეულში მოწყობილი ეს პირველი გამოფენა მათ სამუდამოდ დაახსომდებათ. გამოფენის ინიციატორი გახდა თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელშიც აზერბაიჯანელი სტუდენტები სწავლობენ. და მარნეული შემთხვევით როდი შეარჩიეს ექსპოზიციის მოწყობის ადგილად. კალინინის რაიონი, სადაც აკადემია მდებარეობს, შეფობას უწევს მარნეულის რაიონს. ისინი უკვე სამი წელია მეგობრობენ. ინტერნაციონალური საღამოები, შეხვედრები მწერლებთან, კომპოზიტორებთან და მეცნიერებთან მარნეულელებისათვის ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ამ ცოტა ხნის წინათ კი რაიონის მშრომელთა 1200 წარმომადგენელი თბილისს ეწვია და ოპერის თეატრში მოისმინა „ქეთო და კოტე“.

... ახალგაზრდა მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენის სანახავად მოვიდა რაიონის საზოგადოებრიობა, ჩამოვიდნენ თბილისელი სტუმრებიც — სამხატვრო აკადემიის მასწავლებლები და სტუდენტები.

სიტყვა მივცეთ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს უ. ჯაფარიძეს:

— ჩემი მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ჩვენი აკადემია ბევრ ნიჭიერ აზერბაიჯანელ ოვენებს მხატვარს დაუმთავრებია. მაგონდება ვ. ნარიმანბეკოვი, დღეს უკვე აზერბაიჯანის დამსახურებული მხატვარი, ე. გუსეინოვი — ბაქოს „აზერბაიჯანფილმის“ კინოსტუდიის დამდგმელი მხატვარი, მ. აბასოვი. უფროსთა ესტაფეტა მომდევნო თაობამ აიტაცა. მათ კვალს გაჰყვნენ ზ. აბასოვი, ე. ყულიევი, რომელთა ნამუშევრები დღეს პირველად არის ექსპონირებული მარნეულში.

ტ. შიხალიევი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი: მე მონუმენტური კერამიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე, რ. იაშვილის სახელობაში ვსწავლობ. აქ ბაქოს სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე. აკადემიის კედლებში ბევრი ახალი და სასარგებლო რამ გავიგე — გავეცანი და ვსწავლობ ქართულ კულტურას და ხელოვნებას.

ზ. ნიჟარაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი: „აზერბაიჯანი ყოველ წელიწადს გზავნის თავის ახალგაზრდა წარმომადგენლებს ჩვენს აკადემიაში. ესენი არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც სახელს უთქვამენ აზერბაიჯანულ სახვითს ხელოვნებას. ჩვენი სტუდენტების ნამუშევართა ღღევანდელი გამოფენა მათი პირველი ნაბიჯია ხელოვნების სამყაროში. გამოფენილი სურათები გვიქმნიან წარმოდგენას ამ ახალგაზრდების მსოფლმხედველობაზე, გვიჩვენებენ თითოეული ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას.

ა. ნარიმანბეკოვი, ფერწერის განყოფილების III კურსის სტუდენტი: სტუმართმოყვარულად გაიღო თბილისის სამხატვრო აკადემიის კარი ჩემთვის და ოცდაათი სხვა აზერბაიჯანელი ახალგაზრდისათვის. ჩვენ დავმეგობრდით, როგორც უნდა მეგობრობდნენ კარგი მეზობლები, საუკუნეთა მანძილზე მხარში რომ ედგნენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინში. ვამაყობ, რომ ჩემი შშობლების დიპლომებს, რომლებმაც კიევისა და რიგის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლები დაამთავრეს, შეემატება თბილისის აკადემიის, იმ სასწავლებლის დიპლომი, რომელიც განთქმულია თავისი ინტერნაციონალისტური ტრადიციებით, აღზრდის მაღალი დონით.

ბევრი მისასალმებელი სიტყვა უთხრეს და წარმატება უსურვეს ახალგაზრდებს გამოფენის გახსნაზე. აქ გამოვიდნენ რაიონების ინტელიგენციის, პატრიის და კომკავშირის რაიკომების წარმომადგენლები. ისმოდა ქართული, აზერბაიჯანული, რუსული ლაპარაკი, რაც ესოდენ დამახასიათებელია მრავალეროვანი ინტერნაციონალური მარნეულის რაიონისათვის. (საქინფორმი).

რივარესი

ცხოვრებაში იჭრება

სულხან ცინცაძის ბალეტი „რივარესი“, რომელიც მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემეროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში დაიდგა, მხოლოდ ერთხელ ვნახე, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ შემეგრძნო ყველაზე არსებითი, რითაც იგი გხიბლავს და გიზიდავს.

თავისი ბუნებით სპეციფიკური ბალეტის ხელოვნება რთული და ჭირვეულია. ყოველგვარ თემას ვერ „ჰეუობს“ მისი სფერო, ვერ შობს ეკკვის ქმედითობას, მისი განვითარების მოძრაობასა და დინამიკას, ვერ ანიჭებს აზრს, შინაარსს, პოეტურ აღმფრენას.

ე. ლ. ვოინიჩის უკვდავი რომანი „კრაზანა“ საამედო საყრდენი გახდა საბალეტო ლიბრეტოსათვის (ავტორები — ა. ნიკოლაევა და ა. ჭიჭინაძე). კომპოზიტორმა, ლიბრეტისტებმა, დირიჟორმა — მ. იუროვსკიმ, ბალეტმაისტერმა ა. ჭიჭინაძემ, რომლებმაც თითქმის უცვლელად დატოვეს რომანის სიუჟეტური ქარგა, შეძლეს პროზაული პირველწყაროს ქორეოგრაფიის პოეტურ ენაზე ეთარგმნათ. ამ „თარგმანში“ ბალეტის ავტორებმა თავისუფლად გამოიყენეს ჟანრის შესაძლებლობანი. მათ იციან, რომ ეს შესაძლებლობანი თუმცა უსაზღვროა, მაგრამ ლოგიკას არ არის მოკლებული და მკაფიო გააზრებას მოითხოვს, რამეთუ საბალეტო თეატრის კანონებს, მის განუმეორებელ თავისებურებას და სრულიად სხვა სამყაროს ეკვემდებარება.

სპექტაკლის ავტორები ესწრაფვოდნენ მუსიკისა და ეკკვის სინთეზს, რომელშიც ერთი აუცილებლად დამოკიდებულია მეორეზე, განპირობებს და განსაზღვრავს მას, და სწორედ ეს ურთიერთგანპირობებულობა ქმნის იმ ერთადერთ აუცილებელ ჰარმონიას, ურომლისოდაც ჭეშმარიტი ხელოვნება ვერ იარსებებს.

სულხან ცინცაძეს პირველად არ დაუწერია საბალეტო მუსიკა. და ყოველთვის კომპოზიტორის პარტიტურებში მკაფიოდ იგრძნობა ორი არსებითი მომენტი: ერთი მხრივ, ბალეტის დრამატურგიული საფუძვლის ღრმა და ფაქიზი შეგრძნება, მეორე მხრივ კი ეკკვის საოცარი, სპეციფიკური ბუნების, მისი სიმფონიური არსის ასევე ღრმა და ფაქიზი გრძნობა. სწორედ ამ საწყისების შერწყმა მუსიკაში შობს მისი ბალეტების მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხატის მთლიანობას. მათში ყოველთვის ნათლად არის განსაზღვრული: მუსიკალურ-თემატიკური ლაიტმოტივები, გმირების მუსიკალური დახასიათება და ამ ნათელით შობილი მკაცრად „ჩამოქნილი“ კომპოზიცია, უფრო სწორად, „მწყობრი“ **მუსიკალური მოქმედება, მუსიკალური დრამატურგია.** ყოველივე, ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სპექტაკლის დინამიკურ განვითარებას, თვით **სცენური მოქმედების** სიმძაფრეს.

ამ მოქმედებაში (როგორც მუსიკალურ, ისე სცენურში), ისევე როგორც რომანში, ჩვენ ვხედავთ ძლიერი ხასიათების შერკინებას. ისინი შეპყრობილნი არიან მძლავრი, უჩვეულო ვნებებით და ყოველი მათგანი, ცხოვრებასთან გაავფორებულ ჭიდილში, ღირსეულად და დიდებულად ზიდავს თავის ჯვარს გამარჯვებისა თუ დაღუპვის გზაზე. და როცა მუსიკას უკვირდები, უნებურად ფიქრობ, რა ძალა უნდა იყოს მასში, რომ უბრალოდ კი არ „აფიქსირებდეს“ გმირთა ცხოვრების თავბრუდამხვევ ალმაფრენასა და დაცემას, არამედ უჩვენებდეს ამ ცხოვრების შინაარსს აზრსა და სიღრმეს.

კომპოზიტორი ერთფეროვანი როდია თავის ძიებებში. პირიქით, თვალში საცემია მუსიკალური ქღერადობის მრავალფეროვნება და მრავალპლანიანობა. იგი თვით ნაწარმოების ღრმა დრამატიზმს გამოხატავს. მუსიკაში მკაფიოდ იგრძნობა სხვადასხვა თემატური საწყისის ნაკადების შერწყმა. მკაცრი გუნდური კათოლიკური სტილი dies sier, რომელიც მრისხანების თემაზე, სიკვდილის თემაზე, ბედისწერის თემაზე მოთქვამს, ორგანულად ერწყმის არტურისა და ჯემას სიყვარულის ნაზ, გულთბილი მელოდიურობის თემას; გარიბალდელების შემართული, ვაჟკაცური, რევოლუციური თემა ასევე ორგანულად შერწყმია მოღიღინე, ელეგიურ იავნანას, ცეცხლოვანი და მგზნებარე იტალიური სიცილიანას მოციმციმე ინტონაციები გადაწნულია მეორეული, ვაჟკაცური ეკკვის ჟღერადობასთან, რომელიც თავისი არქიტექტონიკით ქართული ხორუმის ასოციაციებს იწვევს.

ს. ცინცაძის მუსიკალური აზროვნების მასშტაბი ისევე ფართოა, როგორც თვით რომანის თვალსაწიერი გმირთა განცდები სხვადასხვაგვარად ფესვირდება ორკესტრში. აქ თანამიმდევრულად ჟღერს ხან დასარტყმელი და სპილენძის ინსტრუმენტები (არტური პირველად გადაწყდა ადამიანის სიკვდილს), ხან ორგანის გუგუნი, რომელიც მონტანელის მშფოთვარებას და არტურის აღსარებას გადმოსცემს, ხან ზარების წკრიალი (ძაძებიანი ქალები მძიმე ნაბიჯით მოდიან და მათ ფონზე მოჩანს უზარმაზარი ჯვარი — რწმენისა და მისი მსხვრევის სიმბოლო), ხან ვიოლინის სოლო, რომელიც უცნაურად ერწყმის ზიტას (ს. ციოსას) ბოშურ როკვას; ხან ჰენდელის პასაკალიის ნაცნობი მელოდიების სცენაში, როდესაც მონტანელი გამოდის ქალაქის მოედანზე... ყველაფერს ვერც ჩამოთვლი! და თუ ზოგჯერ მუსიკალური ქღერადობა რეფერენდ მეორდება, ეს გამეორება ამა თუ იმ ლაიტ-თემის ხარკია, მისი ლოგიკური განვითარებაა, რომლის აუცილებლობასაც ისევ და ისევ საბალეტო თეატრის სპეციფიკა შობს. მაგალითისათვის სპექტაკლის პროლოგში მონტანელი ეთხოვება პაოლას, არტურის დედას. ქღერს იავნანა, სიოს ქროლვად გეჩვენებათ პაოლას ეკკვა ნ. ტრუბნიკოვას შესრულებით. სპექტაკლის ფინალში იავნანა ისევ მეორდება, მაგრამ სხვა სცენურ გარემოებაში — მონტანელის გაცდების მუსიკალურ დახასიათებაში (აქ სასულე ინსტრუმენტები და ვიოლონჩელის სოლო პარტია ქღერს) უეცრად შემოიჭრება იავნანა — განვლილთა დღეთა მოგონებად, კომპოზიტორის ამ ხერხში საბალეტო მონახაზი იგრძობა, იგი აღსავსეა ქორეოგრაფიული აზრით.

იგივე მეორდება ბალეტის სხვა ეპიზოდებშიც. მაგალითად, გარიბალდიელთა თემა ჯერ ეეცხლოვან, დინამიკურ ხალხურ სიცილიანაში შეიჭრება, მოწოდებითი ინტონაციით მსჭვალავს მას, შემდეგ კი, კვლავ ქღერს ხანჯლოსანთა ეეკკვში (მეორე მოქმედება), როგორც ბრძოლისათვის საქვეყნო მოწოდება. არტურისა და ჯემას სიყვარულის თემა, რომელიც დასაწყისშივე ჩაისახება, ასევე მთელ სპექტაკლს გასდევს. მაგრამ თუ თავდაპირველად, განზრახ უთანხმებს საეეკვაო ლექსიკას სიუჟეტურ ქარგას, არსად არ მიმართავს სცენურ გამოხატულებათა აბსტრაქციას. ბალეტში ყველაფერი კონკრეტული და ხელშესახებია. თავად სიუჟეტი არ გულისხმობს სხვაგვარ გადაწყვეტას და დამდგმელი „ძველი“, ქორეოდრამის ჩვეულ ხერხებამდე მიჰყავს. მაგრამ ეანრული განსაზღვრის თვალსაზრისით „ჩვეული“ ბალეტმაისტერული ხერხები სპექტაკლ „რივარესში“, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მიზნად ისახავს ეეკკვის სიმფონიური ბუნების წარმოჩენას, და სწორედ ის შეადგენს. ქორეოგრაფიული ლექსიკის არსთა არსს. ბალეტმაისტერი არც ერთი წუთით არ ამბობს უარს საეეკკვო მოქმედების სიუჟეტურ, აზრობრივ საფუძვლებზე (ჩვენს მაყურებელს ზოგჯერ ენატრება კიდეც ეს საფუძვლები) და ცდილობს ეს მოძრაობა მაქსიმალურად გააჯეროს ეეკკვით. სწორედ ეეკკვი — მისი „წმინდა“ სახით — განსაზღვრავს მოქმედების ხასიათს. ა. ჭიჭინაძე განყენებულ კი არა, რეალურ ცხოვრებისეულ სახეებს მიმართავს.

რეჟისორული აზროვნების კონკრეტულობა შობს საეეკვაო კომბინაციებს, რომლებიც აღსავსეა ფანტაზიით და მდიდარია ლექსიკური ფერებით. პოეზიით, ლირიკით და ფრთაშესხმული რომანტიკით არის გამსჭვალული არტურისა (რივარესის) და ჯემას ღუეტები და სოლოები. პარტიების შემსრულებლები — შესანიშნავი მოეკვეკვეები ვ. თედეევი და მ. დროზდოვა ქორეოგრაფიული ლექსიკის სირთულეს, მის საეეკვაო პარტიტურას ორგანულად ურწყამენ სახეების აზრობრივ დატვირთვას, და გულში ღრმად ჩამწვდომ, შთაგონებითა და დრამატიზმით აღსავსე სცენურ სახეებს ქმნიან. ასეთივე დრამატიზმით და, რაც მთავარია, საეეკვაო დატვირთვით არის აღსავსე მონტანელის სახეე, რომელსაც ბრწყინვალედ განასახიერებს ი. ვრიგორიევი.

სპექტაკლი — ზღვარდაუდებელი ეეკკვაა. იგი საეეკვაოა თავით ბოლომდე — სოლო, წყვილთა და მასობრივი ეეკკვები ერთურთშია შერწყმული და განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს. ბობოჭრად ხალისიანად გამოიყურება მეზღვაურთა როკვა; რიტმულად დახვეწილია და ვაჟკაცურად სრულდება მეამბოხეთა ეეკკვა (ხორუმი), დინამიკური და ასევე ვაჟკაცურია სიცილიანა, ექსპრესიული, თავბრუდამხვევია ხანჯლოსანთა ეეკკვა. ძალზე კოლორიტულია ხალხური სცენები. ეეკკვა ხელშესახები, კონკრეტული და წარმოჩენებულია.

რეჟისორული აზროვნების კონკრეტულობას ხელს უწყობს მთელი რიგი წმინდა დადგმითი გადაწყვეტებიც — უჩვეულო, ფერადოვანი, დროის, გმირთა ქცევის, ხასიათის, ატმოსფეროს ამსახველი, სულიერ განცდათა აღმფრენისა და წუხილის გამომხატველი.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ აქ ბალეტმაისტერს მხარში უდგას ახალგაზრდა მხატვარი მ. სოკოლოვა. მის მიერ გაფორმებული ფონი, რომელსაც თან ახლავს ეპოქისეული ძუნწი და სადა დეტალები, ხოლო სადაც საჭიროა (მაგალითად, მოედ